ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების,
(ქალაქ ქუთაისში, შოთა რუსთაველის გამზირი,
რუსთაველის ხიდის ჩრდილოეთით მდებარე ტროტუარის ნაწილის)
პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით,
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,პანორამა ქუთაისისათვის"
სარგებლობაში გადაცემის თაობაზე,
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის
თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 09 იანვრის №65 დადგენილების და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ---------- მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,პანორამა ქუთაისისათვის" (საიდენტიფიკაციო კოდის №412758751) პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, კერძოდ: ქალაქ ქუთაისში, შოთა რუსთაველის გამზირი, რუსთაველის ხიდის ჩრდილოეთით მდებარე ტროტუარის ნაწილის (საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.03.21.535, ფართობით: 12 კვ.მ), 1 (ერთი) თვის ვადით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

მუხლი 2. საიჯარო ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კომპაუდს" შორის 2021 წლის 19 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №58 ხელშეკრულების საფუძველზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კომპაუდის" მიერ წარმოდგენილი დასკვნის (23.03.2021 წლის №2021/26/1-ქ) მიხედვით, რომელიც შეადგენს 336,0 (სამასოცდათექვსმეტი) ლარს.

მუხლი 3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,პანორამა ქუთაისმა" (საიდენტიფიკაციო კოდის №412758751) სარგებლობაში გადაცემული ქონება გამოიყენოს, სარეკლამო კამპანიის ფარგლებში საჩუქრად გადასაცემი ავტომანქანის დროებით განსათავსებლად.

მუხლი 4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა წინამდებარე განკარგულების გამოცემის შემდგომ უზრუნველყოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 5. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ. კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 7. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების,
(ქალაქ ქუთაისში, შოთა რუსთაველის გამზირი,
რუსთაველის ხიდის ჩრდილოეთით მდებარე ტროტუარის ნაწილის)
პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით,
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,პანორამა ქუთაისისათვის"
სარგებლობაში გადაცემის თაობაზე,
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის
თანხმობის მიცემის შესახებ
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით
განმარტებითი ბარათი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული იქნა შპს ,,პანორამა ქუთაისის" დირექტორის მომართვა (07.12.2021 წლის N10/4421341353-44), რომელიც შეეხება ქალაქ ქუთაისში, შოთა რუსთაველის გამზირი, რუსთაველის ხიდის ჩრდილოეთით მდებარე ტროტუარის ნაწილის (საკადასტრო კოდი №03.03.21.535-დან, ფართობით: 12,00 კვ.მ) 1 (ერთი) თვის ვადით სარგებლობაში გადაცემას, სარეკლამო კამპანიის ფარგლებში, საჩუქრად გადასაცემი ავტომანქანის დროებით განსათავსებლად.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია განხორციელდეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პანორამა ქუთაისისათვის" (საიდენტიფიკაციო კოდის №412758751) პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, კერძოდ: ქალაქ ქუთაისში, შოთა რუსთაველის გამზირი, რუსთაველის ხიდის ჩრდილოეთით მდებარე ტროტუარის ნაწილის (საკადასტრო კოდი №03.03.21.535, ფართობით: 12,00 კვ.მ) 1 (ერთი) თვის ვადით სარგებლობაში გადაცემა. საიჯარო ქირა განსაზღვრულია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კომპაუდს" შორის 2021 წლის 19 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №58 ხელშეკრულების საფუძველზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კომპაუდის" მიერ წარმოდგენილი დასკვნის (23.03.2021 წლის №2021/26/1-ქ) მიხედვით, რომელიც შეადგენს 336,0 (სამასოცდათექვსმეტი) ლარს. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,პანორამა ქუთაისმა" სარგებლობაში გადაცემული ქონება გამოიყენოს სარეკლამო კამპანიის ფარგლებში, საჩუქრად გადასაცემი ავტომანქანის დროებით განსათავსებლად.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის „დ" ქვეპუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერი - საკრებულოს თანხმობით წყვეტს უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოდ გაცემის საკითხს.

შესაბამისად, წარმოდგენილია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, (ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის ხიდის ჩრდილოეთით მდებარე ტროტუარის ნაწილის) პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,პანორამა ქუთაისისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ".

საკრებულოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ვალერიან სილაგაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი